პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 (18848) შაბათი, 7 იანვარი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებები და მასალები ქვეყნის მშრომელებმა აღიქვეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში ახალი მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლის პროგრამად.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პოლიტბიუროს საქმიანობა, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული შეფასებანი და დასკვნები პარტიისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ძირითად საკითხებზე. ამასთან პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში, რომლებსაც კონსტრუქციული, კრიტიკული ხასიათი ჰქონდა, გამოითქვა ბევრი წინადადება და შენიშვნა, დაისვა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მუშაობასთან, მართვის სისტემის სრულყოფასთან, რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებასთან, ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან დაკავშირებული არსებითი საკითხები. პოლიტბიურომ გაითვალისწინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების დიდი მნიშვნელობა და მიიღო გადაწყვეტილება გაუგზავნოს ისინი სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რათა მათ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებთან ერთად განიხილონ ისინი და განახორციელონ მათი რეალიზაციისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახულ ამოცანას, არ შევანელოთ ტემპი და ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ავიღოთ კარგი სტარტი, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, რათა უზრუნველვყოთ საგეგმო დავალებათა უთუო შესრულება და გამოვიყენოთ მათი გადაჭარბებით შესრულების ყველა შესაძლებლობა. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიეპყროს მეურნეობრიობის დონის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საწარმოო პოტენციალის, მატერი[illegible] ორგანიზაციაში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა სახლებსა და სხვა საინტერნატო დაწესებულებებში აღსაზრდელთა მოვლის პირობების გაუმჯობესებისათვის გამიზნული წინადადებანი.

გათვალისწინებულია, კერძოდ, სკოლა-ინტერნატებში ბავშვების მოვლის საფასურისაგან გაათავისუფლონ მარტოხელი დედები და ოჯახები, რომლებშიც ოჯახის წევრზე საშუალო ერთობლივი შემოსავალი თვეში 60 მანეთს არ აღემატება. დასახულია გაუმჯობესდეს ინტერნატების აღსაზრდელთა უზრუნველყოფა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ინვენტარით, აგრეთვე განხორციელდეს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ბავშვებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნის ზოგიერთი სხვა ღონისძიება. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც დაახლოებით მილიონ აღსაზრდელს ეხება, დამატებით გამოიყოფა 40 მილიონი მანეთი ასიგნებანი.

მოისმინეს ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ა. ს. ბარკაუსკასის მეთაურობით საბჭოთა დელეგაციის არგენტინაში მოგზაურობის შესახებ და აღინიშნა, რომ სასურველია ამ ქვეყანასთან კვლავაც განვითარდეს კარგი ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილებანი ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებათა მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, სახალხო მეურნეობის მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის 1984 წლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი ბ. ი. ვაშაკიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიგოგიძე, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი ფ. ვ. ჯიოევი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი დ. ე. სარიშვილი, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ზ. მაყაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. პაპუნაშვილი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. დვალიშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. ჟორდანია, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. გულუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ე. პ. ქემერტელიძე, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ქ. ს. მამედოვი, დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეობის მეღორე რ. ბ. ბაიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ქოჩორიანი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თ. თოდუა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი რ. შ. მხეიძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ა. პატეიშვილი, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვ. ბურჯანაძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ი. ი. მოლაშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ვ. შ. თორდია, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე რ. გ. ურუშაძე-ლაშვილი, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე ო. ვ. ქვილითაია, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. დ. ბერიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი ქ. ვ. ქაპანაძე, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ზ. შ. ერქომაიშვილი.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ა. ჩხეიძისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დ. ნ. დვალიშვილის მოხსენებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის და საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რეკომენდაცია მისცა გაიტანონ ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

პლენუმის დროს მისმა მონაწილეებმა შემოიტანეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებების უთუო შესრულება. ისინი ეხება მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლების, რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემებს საქართველოს კომპარტიის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების შესაბამისად. ეს წინადადებები მოიცავს ბევრ ახალ თაოსნობას, რომელთა მიზანია შინაგანი რეზერვების გამოვლენა, რათა შესრულდეს პარტიის დამატებითი დავალება შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, საპროექტო შრომატევადობის უხწრაფესი მიღწევის შესახებ, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მისი წვლილის გადიდებას.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილული საკითხების გამო პლენუმმა მიიღო დადგენილებანი.

პლენუმზე დამტკიცდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიის ვეტერანთა როლის შემდგომი გაზრდისა და მათი ზრუნვის გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამასწინანდელი შეხვედრის მონაწილეთა სურვილები და წინადადებანი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. გ. ვ. კოლბინი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

პლენუმმა მადლობა გადაუხადა ამხ. გ. ვ. კოლბინს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი, რომელიც მანამდე მუშაობდა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა ამხ. ო. თ. კულიშევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი, გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ამხ. ო. თ. კულიშევს მადლობა გადაუხადა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ი. მ. არხიპოვი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

პლენუმმა ამხ. ლ. ლ. ზაქაიძე დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ამხ. ო. მ. ივანაშვილი დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო მოხმარების საქონლის განყოფილების გამგედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ამხ. ლ. ი. ხაბურზანია დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების გამგედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ა. ი. სელეზნიოვი.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი

ამხ. ბორის ვასილის ძე ნიკოლსკი დაიბადა 1937 წელს, რუსია, სკკპ წევრია 1963 წლიდან. 1959 წელს დაამთავრა მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1972 წელს დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დაუსწრებელი უმაღლესი პარტიული სკოლა.

შრომითი საქმიანობა ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკიმ 1959 წელს დაიწყო მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი მანქანათსაშენებელი ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს ოსტატის თანაშემწედ. შემდეგ მუშაობდა საექსპერიმენტო საამქროს უფროს ოსტატად, უფროსის მოადგილედ, ტექნიკური განყოფილების უფროსად, ამ საწარმოს მთავარ ინჟინრად. 1965 წელს იგი აირჩიეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივნად.

1968-1972 წლებში ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი მუშაობდა პარტიის ქალაქ მოსკოვის ჟდანოვის რაიკომის მდივნად. 1972-1973 წლებში იყო ჟდანოვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1973 წელს აირჩიეს პარტიის ჟდანოვის რაიკომის პირველ მდივნად.

1976-1981 წლებში მუშაობდა მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1981 წლიდან — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი დაჯილდოებულია ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით; არის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიაში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის სხდომა. დამტკიცდა 1984 წლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს კომპარტიის 1984 წლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე 1984 წლის 6 იანვარს

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ პლენუმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი შეიკრიბა არსებითად ჩვენი პარტიის ყრილობებს შორის, და, ჯამდება რა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებს, ამასთან უნდა განვსაზღვროთ უმნიშვნელოვანესი სამომავლო ამოცანები. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, იწყება ახალი ხუთწლიანი გეგმის ფორმირება. და ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, **რათა მეთორმეტე ხუთწლედი დავიწყოთ კარგად გამართული სამეურნეო მექანიზმით, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობანი**, როგორც ეს მოითხოვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე.

მოსკოვში გამართული პლენუმის ყველა მონაწილე დიდი შთაბეჭდილებებით არის აღსავსე. ეს შთაბეჭდილებანი შეიძლება მკაფიოდ გამოიხატოს ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტის სიტყვებით: **ადამიანებმა უფრო კარგი გუნება-განწყობილებით დაიწყეს მუშაობა.** სწორედ რომ, მაღალმა ზნეობრივმა და პოლიტიკურმა გუნება-განწყობილებამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, შესაძლებლობა მოგვცა აგვემაღლებინა ქვეყნის სახალხო მეურნეობის საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, კადრების ორგანიზებულობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, განგვემტკიცებინა სახელმწიფო, შრომისა და საგეგმო დისციპლინა. მოკლე დროში გამოგვესწორებინა მდგომარეობა მთელ რიგ უბნებზე, აგვემაღლებინა მასების შემოქმედებითი აქტიურობა.

რესპუბლიკის მშრომელებისათვის ეს განწყობა, მე ვიტყოდი, კონკრეტული საქმეებისათვის განწყობა, ყოველივე ამასთან იმითაც მტკიცდებოდა, რომ გასული წელი იყო საიუბილეო, ორდენოსანი წელი. მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის დღესასწაულმა, საქართველოს მესამე ლენინის ორდენით დაჯილდოებამ აღაფრთოვანა ადამიანები. ამის შემდეგ კი **სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მორიგი გადაწყვეტილება ჩვენი რესპუბლიკის შესახებ**, სადაც მთლიანად დადებითად არის შეფასებული მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გამოცდილება. ყოველივე ამან დიდი დამრაზმველი როლი შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დამთავრებაში.

წინასწარი გამოანგარიშებით, რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი და წარმოებული ეროვნული შემოსავალი წინა წელთან შედარებით თითქმის 4,5 პროცენტით გადიდდა. მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მატებამ შეადგინა 5,0 პროცენტი, და იგი გამოშვებულია გეგმის გადაჭარბებით — 137 მილიონი მანეთისა. ამოქმედდა 206 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ძირითადი საწარმოო ფონდები.

უზრუნველყოფილია ხუთწლედის სამი წლის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებიც. ამ პერიოდში არსებითად გადიდდა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი და ამაღლდა მისი გამოყენების ეფექტიანობა. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 1981-1983 წლებში გაიზარდა 12,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში — 9,5 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში —10 პროცენტით. ერთი პროცენტით შემცირდა საზოგადოებრივი პროდუქტის მასალა-ტევადობა.

წარმატებით ხორციელდება ფართო სოციალური პროგრამა. ამაღლდა მშრომელთა კეთილდღეობის დონე. სამი წლის მანძილზე საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩაბმულია 100 ათასზე მეტი კაცი. გაიზარდა რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

ახლა ყველაზე მთავარი, როგორც ეს აღინიშნა კიდეც ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, ის არის, რომ **არ შევანელოთ ტემპი, არ დავკმაყოფილდეთ საქმეებისათვის საერთო დადებითი განწყობით, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური პროცესები.**

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმას წინა წელზე უფრო მეტად აქვს დასახული ორიენტირად **წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ზრდის ინტენსიური ფაქტორების გამოყენება.** საკავშირო ორგანოებთან მისი შეთანხმების პროცესში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა სერიოზული და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ზოგიერთი „ვიწრო" ადგილისა და დისპროპორციის აღმოფხვრისათვის, მთლიანად უზრუნველყვეს ჩვენი სახალხო მეურნეობის დინამიკური და პროპორციული განვითარების პირობები.

მაგრამ ზოგიერთი პოზიციის მიხედვით მათი დაძლევა ბოლომდე ვერ შევძელით, ამავე დროს პარტიამ დაგვისახა ზუსტი და მკაფიო ამოცანა: ჯერ ერთი, უზრუნველვყოთ გეგმის უთუო შესრულება და მეორე, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მისი გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს მოწმობს, რომ საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ მომთხოვნელობა ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოსადმი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციისადმი.

როგორც ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ითქვა, უპირველესი ყურადღება უნდა დავუთმოთ მუშაობის ორგანიზაციას, ზუსტად განვსაზღვროთ, რა გზებით, საშუალებებითა და მეთოდებით იქნება მიღწეული თითოეულ დარგში, თითოეულ შრომით კოლექტივში ყველა სახეობის რესურსების, მასალების, ნედლეულისა და ენერგიის მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების გათვალისწინებული მაჩვენებლები.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას ზოგიერთი სპეციფიკური ამოცანა. მათგან მთავარი ცნობილია — კვლავაც დავძლიოთ ინდუსტრიული და საერთო ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან შედარებითი ჩამორჩენა. ჩვენ უშუალოდ მივუახლოვდით ამ მიჯნას ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით. მაგრამ მთელი რიგი მიმართულებებით ჩამორჩენა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეტად არახელსაყრელი ამინდის პირობების, სტიქიური უბედურებების გამო დავკარგეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი რესურსები. საჭირო იქნება ენერგიული ღონისძიებანი, რათა დარჩენილ პერიოდში და, უწინარეს ყოვლისა, დაწყებულ წელს ავანაზღაუროთ დაშვებული დანაკარგები.

ამრიგად, იოლი მიზნები როდია დასახული. მათი მიღწევის გზები საფუძვლიანად და ღრმად არის მონახული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებში. ისინი საკმაოდ კონკრეტულად არის განსაზღვრული საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო დადგენილებაშიც, სადაც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ განახორციელონ შექმნილი საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალის, შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საქონლის ხარისხის არსებითი გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებანი. **ჩვენს ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს ამ გადაწყვეტილების ფუძემდებელი მოთხოვნებიდან, მალე ცალკე გავაანალიზებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე.** მაგრამ უკვე დღეს ისინი უნდა იდგეს პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების, ყველა შრომითი კოლექტივის ყურადღების ცენტრში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას შეიძენს. **და სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ შეისხამს ხორცს პარტიის გადაწყვეტილებანი პრაქტიკულ საქმეებად თითოეულ საწარმოსა და გაერთიანებაში, ვიმსჯელებთ ხელმძღვანელთა უნარზე, შეუძლიათ თუ არა ადამიანების დარაზმვა, მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა.** ეს არის ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოთხოვნა, და მას განუხრელად განვახორციელებთ.

I.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ყოველთვიურად ჯამდება სამეურნეო საქმიანობის შედეგები, სადაც ვეხებით ეკონომიკის განვითარების ყველა მიმდინარე და ყველაზე მწვავე პრობლემას. ჩვენი აქტივი ამ პრობლემებს კარგად იცნობს, კონკრეტულად მუშაობს მათ გადაწყვეტაზე.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში დამკვიდრებული ასეთი მიდგომის დროს ჩვენს პლენუმს შეუძლია და კიდევაც უნდა მიაპყროს კომუნისტთა ყურადღება სახალხო-სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიულ, მთავარ მიმართულებებს, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყველაზე ტევად, საკვანძო ამოცანებს, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე იყო.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ დეკემბრის პლენუმზე საქართველო, მოსკოვთან და ლენინგრადთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან ერთად, დასახელებულია 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მოძრაობის ინიციატორთა შორის.

ცენტრალურ კომიტეტს ეს მიაჩნია **დამატებით პარტიულ დავალებად გეგმისათვის.** მის შესრულებას უნდა დაუთმოს მთელი ყურადღება უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის ყველა პარტიულმა კომიტეტმა, მართვის ყველა ორგანომ, ყველა შრომითმა კოლექტივმა.

შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულება ის მაჩვენებლებია, რომლებიც განაზოგადებენ მთელი ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის დონეს, ასახავენ წარმოების კულტურასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების დონეს, ადამიანთა შრომით განწყობას. რაკი ვკისრულობთ მათი გაუმჯობესების ვალდებულებას, სწორედ ამას უნდა მოვახმაროთ მომავალი წლის გეგმის ორგანიზატორული და პოლიტიკური უზრუნველყოფა, ვეძიოთ თითოეულ სამინისტროსა და უწყებაში, თითოეულ სამუშაო ადგილას შრომის ნაყოფიერების დამატებითი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები.

უნდა ვთქვათ, რომ სოციალურ-ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი პროპორციები საერთოდ ამისათვის ხელშემწყობ შესაძლებლობებს ქმნიან. მაგალითად, გათვალისწინებულია, რომ ეროვნული შემოსავლის გადიდების ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებდეს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპს, რაც დამაჯერებლად მოწმობს წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას.

დარგობრივ სტრუქტურაში რამდენადმე გაიზრდება მრეწველობის ხვედრითი წილი. მისი წარმოების მატება დაგეგმილია 5,3 პროცენტის დონეზე, რაც 0,5 პუნქტით აღემატება ხუთწლედის პირველი სამი წლის საშუალო წლიურ მაჩვენებელს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის ხუთწლედის საკონტროლო დავალებების მიღწევისათვის. აქ გავლენას ახდენს, როგორც მოველოდით კიდეც, ყურძნის მოსავლიანობის შედეგად თავს იჩენს ნედლეული რესურსების შეზღუდულობა, განსაკუთრებით მსუბუქ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობის ცალკეულ ქვედარგებში.

წელს უნდა უზრუნველვყოთ სამრეწველო პროდუქციის ზეგეგმითი მატება 0,6 პუნქტით. ეს უაღრესად რთული ამოცანაა და მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი გზაა სწორედ **შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდება.** ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპით ქვეყანაში მოწინავე პოზიციებზე ვართ. მაგრამ რეზერვები ჯერ კიდევ არის და თანაც საკმაოდ. მაგალითად, შარშან 249 საწარმომ შეამცირა იგი. ბევრი ასეთი საწარმოა კვების მრეწველობის

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი

(გაგრძელება)

სმშინისტროში, მშენებლობის სამინისტროში, სასოფლო მშენებლობის სამინისტროში, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში. მათ შორის არის საკავშირო დაქვემდებარების ისეთი საწარმოები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული, ლითონკონსტრუქციებისა და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნები, თბილისის „აგრეგატი", „აქატი" და საიუველირო, შორაპნის „ელექტროელემენტი" და ზოგიერთი სხვა ქარხანა.

წელს დაგეგმილია შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის საზოგადოებრივ წარმოებაში გაიზარდოს 7,7 პროცენტით. დამატებით მისი ერთი პროცენტით გადიდება კი, როგორც ამას ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი მოითხოვს, შესაძლებლობას მოგვცემს მარტო მრეწველობის სფეროში წარმოების მოცულობა გავზარდოთ 105 მილიონი მანეთით და შესაბამისად დავაჩქაროთ მისი ზრდის ტემპი მთელი პროცენტული პუნქტით.

შრომის ნაყოფიერება სრულიადაც არ არის განყენებული მაჩვენებელი. და როცა სამინისტროებს, უწყებებს, სხვა სამეურნეო ქვეგანაყოფებს ვუსახავთ ამოცანას — შეიმუშაონ მისი დამატებითი ზრდის დიფერენცირებული დავალებანი — ვგულისხმობთ, რომ შესაბამისად მოფიქრებული იქნება საჭირო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

შემადგენელი ფაქტორები მეტად ბევრია. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

როცა წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს შეეხო, ამხანაგმა ი. ვ.

(გაგრძელება 3-ე გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი

(გაგრძელება)

არის უგანწყვსო რგოლები, ბრიგადები და მოსავლის ასაღები სატრანსპორტო კომპლექსები, თანამიმდევრულად განვავითაროთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მანქანების მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში.

დარგში სამეურნეო საქმიანობის დონეს ბევრად განსაზღვრავს მასში დანერგებული სახელმწიფო საშუალებების ყოველი მანეთისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება. ეს უშუალოდ ახდენს გავლენას ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონში შვიდი წლის მანძილზე მთლიანი პროდუქციის წარმოებას 61,5 პროცენტით საერთო ზრდის პირობებში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 63 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება კი შემცირდა 31 პროცენტით. ამავე პერიოდში ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის კოლმეურნეობაში მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 49 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 43 პროცენტით, ძირითად სახეობათა პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 25-27 პროცენტით და, რაც ყველაზე მთავარია, კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალი 3,8-ჯერ გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, ბევრი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროპორცია ჩვენს სოფლის მეურნეობაში მთლად კარგად ვერ ყალიბდება. მაღლდება პროდუქციის თვითღირებულება, შრომ...

[illegible]

III.

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი

(დასასრული).

ამიტომ პარტიულმა კომიტეტებმა, სხვა ადგილობრივმა ორგანოებმა ყველაზე სერიოზული და დაინტერესებული ყურადღება უნდა დაუთმონ დიდი მასშტაბის ექსპერიმენტებს, რომელთა მიზანია დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში მთელი რიგი სამინისტროების საწარმოთა უფლებების გაფართოება, ამ მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ექსპერიმენტების სფეროში შეტანილია საქართველოც, რადგან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს 15 საწარმო და გაერთიანება და ერთიც მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროსი.

ამ საწარმოებისა და გაერთიანებების ამასწინანდელმა გამოკვლევამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მოსამზადებელ მუშაობაში. კერძოდ, ბევრ შრომით კოლექტივში ძალიან დიდ დროს ანდომებენ მომზადებას. ბრძანებები ექსპერიმენტების განხორციელების შესახებ ზესტაფონის „საქკაბელის" ქარხნისა და ფოთის ელექტრომანქანური მაძლიერებლების ქარხნის ხელმძღვანელობამ გამოსცა მხოლოდ 10 ნოემბერს, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობამ კი 13 ნოემბერს, ესე იგი დადგენილების მიღებიდან ოთხი თვის შემდეგ.

ახალ მოთხოვნებს უყენებთ დღეს რესპუბლიკის **სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსაც**, რაც სავსებით კანონზომიერია. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი …

…

და ენერგიას არ დაიშურებენ, ოღონდ წარმატებით შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, პირნათლად განახორციელებენ მიმდინარე წლისა და მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის დაძაბულ დავალებებს!

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმა და რესპუბლიკის ბიუჯეტი განიხილა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. იგი გაიმართა 6 იანვარს კრემლის დიდ სასახლეში.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები ამხანაგებს ჰ. ა. ალიევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს, ე. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

მოხსენება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1983 წლის გეგმის შესრულების შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ი. მასლენიკოვმა.

რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარდგენილია სესიის განსახილველად შემოსავალ — გასავლის ნაწილში 91292,2 მილიონი მანეთის ოდენობით, ზრდა შეადგენს 2,5 პროცენტს. ეს აღნიშნა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. ბობროვნიკოვმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1982 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

განხილვის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონები რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

შემდეგ მოხსენება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ხ. პ. ნეშკოვმა. რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბრძანებულებები და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამით რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამთავრა მუშაობა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიხსნება დღეს, 7 იანვარს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 7 იანვარს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

რესპუბლიკაში გრძელდება ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც მათი მონაწილეები ასახელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

ხალხის კანდიდატები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 660 თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი**.

დ. ლ. ქართველიშვილის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვისა" და გარდაბნის რაიონის ტაბახმელის ბიოკომბინატის კოლექტივების კრებებზე.

ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მოწინავე მკერავი **დარეჯან ქავთარის ასული ხვამიძე** გაერთიანების კოლექტივმა დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 667 ქუთაისის საარჩევნო ოლქში.

გეგეჭკორის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პავლე გიორგის ძე გილაშვილი**.

პ. გ. გილაშვილის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობისა და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს კოლმეურნეობის მშრომელებმა.

გაიმართა ლენინგორის რაიონის ზაახორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის კრება, რომელმაც ერთსულოვნად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან № 740 ლენინგორის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი**.

მ. ი. ბერძენიშვილის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე სოფელ ლარგვისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და ლენინგორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში გამართულ კრებებზე.

(საქინფორმი).

დღეს — 7 იანვარს — იუგოსლავიის ქალაქ ვაიეცში იწყება ქალთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც ფიდეს უმაღლესი, მეთხუთმეტე კატეგორია ექნება.

ტურნირში ითამაშებენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ვაიცეს მარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებული ნანა ალექსანდრია, მარგარიტა მურეშანი, დანა ნუცუ (ორივე — რუმინეთი), ჰანა ერენსკა-რადზევსკა, გრაჟინა შმაცინსკა (ორივე — პოლონეთი), ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), გიზელა ფიშდიკი (გფრ), მასპინძლები — ზორიცა ნიკოლინი, სუზანა მაქსიმოვიჩი, ვლასტა მაჩეკი, გორდანა მარკოვიჩი, ამალია პიპაილიჩი, მარიამ პეტროვიჩი და ანტონინა დრაგაშევიჩი. ტურნირი 25 იანვრამდე გასტანს.

ფიფას პრეზიდენტი თბილისში

„**თქვენი** ქვეყნის იმ ქალაქებს შორის, სადაც მიზანშეწონილი იქნებოდა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩატარება, თბილისის არჩევა ქართული ფეხბურთის წვლილის აღიარებაა საბჭოთა სპორტის განვითარებაში", — განაცხადა თბილისში ჩამოსულმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა.

„დინამოს" სტადიონის დათვალიერების შემდეგ მან ამ სპორტულ ნაგებობას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა. „აქ საუცხოო გაზონია, შესანიშნავად ჩანს მოედანი ნებისმიერი ტრიბუნიდან, — აღნიშნა ავილანჟმა. — საერთოდ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და მინსკის სტადიონები, რომლებიც მე ვნახე, მთლიანად აკმაყოფილებს ფიფას მოთხოვნებს".

ამის საფუძველზე ფიფას პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ყველა ხელსაყრელი პირობაა შექმნილი ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად. მსოფლიო პირველობის ჩატარების პრეტენდენტთა შორის კიდევ სამი ქვეყანაა — ინგლისი, საბერძნეთი და იტალია. საბოლოო არჩევანი მოხდება მიმდინარე წლის მაისში, მას შემდეგ, რაც ფიფას მიერ დანიშნული სპეციალური კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული ქვეყნის შესაძლებლობებს.

6 იანვარს ჟ. ავილანჟი ეცნობოდა ქალაქის სპორტულ ნაგებობებს. „დინამოს" სტადიონის გარდა, იგი ეწვია ლენინური კომკავშირის სახელობის წყალჯომარდობის კომპლექსს, ტანვარჯიშის ახალ ცენტრს, სპორტისა და ჭადრაკის სასახლეებს. მცხეთაში ფიფას პრეზიდენტმა დაათვალიერა ისტორიული ძეგლები.

7 იანვარს ჟ. ავილანჟი ერევანში გაემგზავრება.

(საქინფორმი).

ჭადრაკი. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დამთავრდა 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი. პირველობას დაეუფლა ლენინგრადელი ვალერი სალოვი, რომელმაც 13 ტურში 10,5 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა სიმონ ოგდენშტეინმა — 10, ბრინჯაოსი — ინგლისელმა ჯეიმს პოუელმა — 9,5 ქულა.

ჩოგბურთი. სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 19 წლის სპორტსმენები მაიკ ბაუერი (აშშ) და მიროსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია). გაიმარჯვა ამერიკელმა (4:6, 6:4, 6:1) და ზედიზედ მეორედ გახდა სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონი. მან გაიმეორა ალექსანდრე მეტრეველის ამგვარივე მიღწევა. შეგახსენებთ, მეტრეველმა ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში 1972 და 1973 წლებში გაიმარჯვა.

სატურნირო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. მახაჩყალაში დამთავრებულ სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში პირველობა მოიპოვეს თბილისელმა პ. ღარიბულიძემ (მძიმე წონა), ტყვარჩელელმა მ. ხარჩილავამ (45 კგ), ქუთაისელებმა დ. ზერიძემ (70 კგ) და ე. მშვენიერაძემ (75 კგ). ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ თბილისელი კ. ბერიძე (65 კგ) და ქუთაისელი ზ. გურჯიძე (75 კგ).

ფეხბურთი. ლენინგრადში გრძელდება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვალენტინ გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა გუნდების ტრადიციული შეჯიბრება. სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა ფრედ — 0:0 დაამთავრა მატჩი ბელგიელებთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებმა კი დაამარცხეს ფრანგები — 2:0.

მალიკო მრევლიშვილი

ქართველმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, 1945 წლიდან სკკპ წევრი მალიკო ნიკოლოზის ასული **მრევლიშვილი**.

მალიკო მრევლიშვილი დაიბადა ონში. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძო პეტროგრადის ქალთა უმაღლეს კურსებზე. 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1922 წლიდან სწავლობდა ა. ფალავას მიერ დაარსებულ თეატრალურ სტუდიაში, რომლის ბაზაზე შემდეგ შეიქმნა თეატრალური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მსახიობად მუშაობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში. იმ წლებში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

მ. მრევლიშვილი იყო თეატრალური ინსტიტუტის აღდგენის ერთ-ერთი აქტიური მოხაწილე, ხელმძღვანელობდა სასცენო მეტყველების სწავლებას. მისი ინიციატივით ინსტიტუტში დაარსდა სასცენო მეტყველების კათედრა. იგი წლების განმავლობაში იყო ამ კათედრის გამგე. კათედრაზე აღიზარდნენ სასცენო მეტყველების პედაგოგთა თაობები.

მ. მრევლიშვილმა 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1960 წლიდან კი იგი თეატრალური ინსტიტუტის პროფესორია. მ. მრევლიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული სასცენო მეტყველების მეცნიერული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებაში. მან შექმნა სახელმძღვანელოები: „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები" და „მხატვრული კითხვის ხელოვნება", გამოქვეყნებული აქვს „მხატვრული კითხვის მასალების კრებული" და სხვა სამეცნიერო შრომები.

მ. მრევლიშვილი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებასთან, სისტემატურ კონსულტაციებს უწევდა მეტყველების დარგში საქალაქო და რაიონულ თეატრებს, სკოლებს, აქტიურად მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

წავიდა ჩვენგან ქართული თეატრის ღვაწლმოსილი მუშაკი, მასწავლებელი, მეგობარი, მზრუნველი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება უანგაროდ მოახმარა ქართული სასცენო მეტყველების კულტურის ამაღლებას.

მალიკო მრევლიშვილის ღვაწლი და ამაგი ყოველთვის დარჩება მისი მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

7 იანვარი

მოსკოვი

… ტელეფილმი „ახალგაზრდა რუსეთი". მესამე სერია. 12.05 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 12.15 — მხატვრების შესახებ. 12.40 — გამარჯვებულნი. ფრონტელ მეგობართა კლუბი. 13.55 — …

… რალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი. 17.50 — მულტფილმება. 18.20 — დოკუმენტური ფილმი. 19.10 — საკავშირო კონ…

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.30 — მულტფილმი. 9.55 — ლიტერატურული კითხვა. ჰ. ანდერსენი. „ზღაპრები და ამბები". 10.30 — დილის ფოსტა. 11.00 — ადამიანი მიწის ბატონ-პატრონია. …

… მი" — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 17.15 — მოგზაურთა კლუბი. 18.15 — ფესტივალები… კონკურსები… კონცერტები… 19.15 — ჯანმრთელობა. 20.00 — მუსიკალური კიოსკი. 20.30 — დოკუმ…

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „თამარ მაკაროვა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — შევის…

… შევისწავლოთ რუსული ენა. 12.40 — „ხუთწლედი, წელი მეოთხე". 13.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — სიღნაღის სახალხო თეატრი. 15.35 — კინოფანტაზია. 16.15 — პოეზიის ხუთი წუთი. …

… პოეზიის ხუთი წუთი. 18.20 — მუსიკალური ფოსტა. 19.20 — სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში: თბილისის „დინამო" — ლვოვის „დინამო". 19.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 20.00 — მოამბე. 20.35 „იეროფეის …